www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სოფლის მეურნეობა

2022 წელი და 2022 წლის IV კვარტალი (წინასწარი შედეგები მეცხოველეობის შესახებ)



16.02.2023

www.geostat.ge

16.02.2023

საქართველოს სოფლის მეურნეობა

2022 წელი და 2022 წლის IV კვარტალი

(წინასწარი მონაცემები მეცხოველეობის შესახებ)

წინასწარი მონაცემებით, 2022 წლის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 868.7 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემზე 6.5 პროცენტით ნაკლებია. აქედან ფურისა და ფურკამეჩის ჯამური რაოდენობა 444.0 ათასი სულით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1.7 პროცენტით ჩამორჩება.

ღორის რაოდენობამ 139.9 ათასი სული შეადგინა, რაც 8.5 პროცენტით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ფრინველის რაოდენობამ 9.7 მლნ. ფრთა შეადგინა, რაც 4.3 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის სულადობა, აგრეთვე, ფრინველის რაოდენობა 2016-2022 წლების ბოლოს არსებული მდგომარეობით.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2016-2022 წლების ბოლოსათვის

(ათასი სული)



ღორის სულადობა 2016-2022 წლების ბოლოსათვის
(ათასი სული)



*წინასწარი მონაცემები.

ფრინველის რაოდენობა 2016-2022 წლების ბოლოსათვის
(ათასი ფრთა)



*წინასწარი მონაცემები.

16.02.2023

წინასწარი მონაცემებით, 2022 წლის IV კვარტალში რძის წარმოებამ 97.5 მილიონი ლიტრი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 5.1 პროცენტით ნაკლებია. 2022 წლის რძის წარმოების წლიური მაჩვენებელი 574.7 მილიონი ლიტრით განისაზღვრა, რაც 2.2 პროცენტით ჩამორჩება 2021 წლის შედეგს.

2022 წლის IV კვარტალში ხორცის წარმოებამ 23.9 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2021 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 3.6 პროცენტით ნაკლებია. 2022 წელს ხორცის წლიურმა წარმოებამ 74.7 ათასი ტონა შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 2.9 პროცენტით აღემატება.

2022 წლის IV კვარტალში კვერცხის წარმოება 156.2 მილიონი ცალი იყო, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 4.5 პროცენტით ნაკლებია. 2022 წელს კვერცხის წლიურმა წარმოებამ 648.9 მილიონი ცალი და 2021 წელთან შედარებით 0.9 პროცენტით ნაკლები შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია 2016-2022 წლებში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების დინამიკა.

რძის წარმოება 2016-2022 წლებში

(მლნ. ლიტრი)



*წინასწარი მონაცემები.

ხორცის წარმოება 2016-2022 წლებში
(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

კვერცხის წარმოება 2016-2022 წლებში
(მლნ. ცალი)



*წინასწარი მონაცემები.

16.02.2023

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში დეტალურად არის წარმოდგენილი 2021-2022 წლების მაჩვენებლები ქვეყანაში არსებული პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის ექსპორტ-იმპორტის, ასევე, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შესახებ, კვარტალურ ჭრილში.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა 2021-2022 წლებში პერიოდის ბოლოსათვის

(ათასი სული)

	2021				2022*			
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1 015.1	1 015.1	964.2	928.6	1 014.6	997.0	933.0	868.7
მათ შორის ფური და ფურკამეჩი	457.3	461.6	456.3	451.7	468.5	470.9	457.8	444.0
ღორი	179.0	207.1	240.8	152.9	170.2	194.8	202.4	139.9
ფრინველი (ათასი ფრთა)	9 697.3	12 046.0	10 614.8	9 253.6	10 292.0	11 055.8	10 582.5	9 654.2

*წინასწარი მონაცემები.

ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის ექსპორტი 2021-2022 წლებში

(ათასი სული)

	2021					2022*				
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	16.1	11.1	20.7	33.4	**81.3**	18.4	25.6	48.7	38.9	**131.6**
ღორი	-	-	1.2	0.8	**2.0**	0.4	0.3	1.8	1.0	**3.5**
ფრინველი (ათასი ფრთა)	699.0	1 733.3	1 779.9	1 530.0	**5 742.2**	1 930.7	3 358.9	3 441.3	4 873.3	**13 604.1**

*წინასწარი მონაცემები.

16.02.2023

ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის იმპორტი 2021-2022 წლებში

(ათასი სული)

	2021					2022*				
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	0.2	0.4	0.8	1.0	**2.3**	0.3	1.1	0.2	0.5	**2.0**
ღორი	10.2	11.6	17.6	20.9	**60.4**	18.8	23.3	26.3	34.3	**102.7**
ფრინველი (ათასი ფრთა)	1 287.5	1 996.0	1 954.1	2 366.9	**7 604.4**	1 733.8	1 219.8	2 111.2	2 069.9	**7 134.7**

*წინასწარი მონაცემები.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 2021-2022 წლებში

(ათასი სული)

	2021					2022*				
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი
ხორცი (ათასი ტონა)	14.5	17.8	15.5	24.8	**72.6**	16.7	17.7	16.4	23.9	**74.7**
რძე (მლნ. ლიტრი)	111.1	198.0	176.1	102.7	**587.9**	112.2	200.0	165.0	97.5	**574.7**
კვერცხი (მლნ. ცალი)	172.5	163.9	154.8	163.6	**654.8**	165.5	167.7	159.5	156.2	**648.9**

*წინასწარი მონაცემები.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

გამოყენებული პირობითი აღნიშვნა:

- მოვლენა არ არსებობს.

2022 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2023 წლის 15 ივნისს.

საკონტაქტო პირები:
გიორგი სანაძე, ტელ: (+995 32) 236 72 10 (500), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge